572
1985

USSN 0132—5965

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 წ., სექტემბერი № 9

დილა

სასურველი მკითხველი

„ფილის" მკითხველებს

ცალკა ადამიანების წაკითხვა, სამეცნიერო ცალკისა კი ახლა წერა-კითხვა ღვთაებრივია. „ონა ხარბისა" გადაეჩეხეთ ყველანი, სამეცნიერად ლაუფრანტ-ბრძანებლენ, გაჩეხილი ფილის სახელოვანი ალმაცერები.

ეს ბედნიერება თქვენ ხელთ ფილის-ღვთაების გამაცხოველებელ ნიადაგზე იმენთ ცალკას; ამიტომ გვეიმედება — ეს იქნება ცალკა ლეგენდიანი ცხოვრებისათვის და ნაყოფიერი ფილოსოფიისათვის.

[illegible]





ჩვენი უსაყვარლესი ასფალტი
მეგობრებო, მოგილოცავთ ერთ
ერთ ფურცელს, ერთ ფურცელ
ზეს, ერთ ფურცელ ფაქტს. იქნებ,
ყველა თქვენგანს ერთ ფურცელი
ეყოფა ცხოვრებაში.
გულმხურვალე ვინოგრადოვებს!

[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]
[illegible]
[illegible]

მივულოცოთ!

გივი ძნელაძე

ტატო-ბიჭის ამ სიხარულს
შეედრება რამე?
ძილ-ღვიძილში გაატარა
წუხელ მთელი ღამე;
დღეს პირველად დაირეკა
მისთვის სკოლის ზარი!..
მოდის!
მოდის!
თქვენ უბრალო
არ გეგონოთ მგზავრი!
მოდის!
მოდის!
გაზაფხულის
ხალისით და შნოთი,—
მოდის!
მოდის!—
საქართველოს
მომავალი მოდის!..
მივულოცოთ დღევანდელი
ბედნიერი წუთი!..
ღღეიდანვე დაებედოს:
ხუთი!
ხუთი!
ხუთი!

მხატვარი სოფიკო კინწურაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციცინო გამყრელიძე

„ქართული ანბანი“—დედაენისა და გუნების კარი

გახსოვთ „ნუცას სკოლა?“ როგორ უჩიჩინებდა პატარა ნუცა თავის დედოფალებს: ეს არის ანი, ეს არის ბანი, ისწავლეთ, გენაცვალეთო“. მაგრამ ასე ხომ დედოფალებს კი არა, ნამდვილ ბავშვებსაც გაუჭირდებათ დაიმახსოვრონ ასოები! აბა რა არის ა ან ბ თავისთავად? რა საგანი? რა ამბავი? რა გრძნობა? არაფერი. სწავლა კი მაშინ არის სახალისო, როცა გესმის, რაზე გელაპარაკებიან. აი, ვთქვათ ბავშვს წააკითხეს სიტყვა „დე-და“. ის წარმოიდგენს თავის დედას, მამას, სახლს. „ეს ერთი სიტყვა რამდენიმე საგანს მოაგონებს, იგრძნობს კავშირს ბუნებასა, ცხოვრებასა და სწავლას შუა“.—ასე ფიქრობდა ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც გადაწყვიტა ძველი საანბანო წიგნებისაგან განსხვავებული სასწავლო და საკითხავი წიგნი შეედგინა ქართველი ბავშვებისათვის.

ეს ახალგაზრდა იყო იაკობ გოგებაშვილი. ეს წიგნი—„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“.

მას შემდეგ 120 წელი გავიდა. დღეს იაკობ გოგებაშვილის სახელი უცნობია ბავშვმა ზეპირად იცის. მაშინ კი ის სულ 25 წლისა იყო და დღემუდამ იმაზე ფიქრობდა, როგორ გაეადვილებინა ქართველი ბავშვებისათვის სწავლა, როგორ გაეხადა ის სასარგებლოც და სასიამოვნოც. სასარგებლოც და სასიამოვნოც ის იქნებაო,—ფიქრობდა იგი,—რომ ბავშვმა იცოდეს, რაც გარს არტყია, იცოდეს ბუნება და შეეძლოს მის ძალთა დამორჩილება.



ქართული ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი

მოსწავლეთათვის.

შედგენილი

ი. გ.

ტფილისი.

სტამბა მკლავიშვილისა, დ. კარ. სტამბაზ.

1865.

ამიტომ წიგნის საკითხავ ნაწილში იაკობ გოგებაშვილმა შეიტანა მოთხრობები ბუნებაზე...

გადიოდა დრო. „ქართული ანბანი“ იხვეწებოდა. მალე მის საფუძველზე ახალი სახელმძღვანელო შედგა — ეს იყო „ბუნების კარი“, „ბუნების კარს“ კი „დედა ენა“ მოჰყვა,—წიგნი, რომელშიც ჩასახლებულია თქვენთვის ასე ნაცნობი და ახლობელი სამყარო: აი ია, აი ცა, მიწა, დედა, სამშობლო... წიგნი, რომელმაც მრავალ თაობას გაუხსნა გონება აზროვნებისათვის, თვალნი—ხედვისათვის, ყურნი—სმენისათვის, გული—სიყვარულისათვის.

„დედა ენის“, თქვენი ძვირფასი „დედა ენის“ წინამორბედი იყო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“.

ნუ დაივიწყებთ მას.

* * *

ახლა კი თქვენც წაიკითხეთ ზოგი რამ იქიდან, რასაც სიხარულით და გულისყურით კითხულობდნენ 120 წლის წინანდელი ბავშვები.



— 8 —

მგელმა თხა,
თხამ ენახი,
შეჭამა.
ია ენახო ქანგი,
რამ შეჭამა ქანგი,
მიეელ ენახე ქანგი,
მიწამ ჭამა ქანგი.
მიწამ ქანგი,
ჭანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ენახა,
შეჭამა.
ია ენახო მიწა,
რამ შეჭამა მიწა,
მიეელ ენახე მიწა,
თაგემა ჭამა მიწა.
თაგემა მიწა
მიწამ ქანგი,
ქანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ენახი
შეჭამა.
ია ენახო თაგეი.
რამ შეჭამა თაგეი.
მიეელ ენახე თაგეი.
ცატამ ჭამა თაგეი.
ცატამ თაგეი.
ია ენახა მიწა.
მიწამ ქანგი.
ქანგმა თოფი.
თოფმა მგელი.
მგელმა თხა.
თხამ ენახი
შეჭამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები

კატას თევზი უყვარს და წყალში ფეხის დასველება კი ეზარება.

კაცი კაცის წამალია.

ნუ იქმ ავსა, ავისაც ნუ გეშინიან.

ორი მამლაყინწა

ორი მამალი წაიკიდნენ და ერთმა მეორეს აჯობა. დამარცხებული მამალი გაიქცა და საბძლის ქვეშ შეძვრა. გამარჯვებული მამალი შეფრინდა საბძელზედ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა თავმოწონებით დაიყივლა: ყიყლიყო! ამ დროს გაუჩნდა საიდგანაც ქორი, დააფრინდა მყვირალას და წაიღო ვახშმათ.



ჭინჭარი

სოსოს მაყვალი ძრიელ უყვარდა. შუა ბაფხულში დაუმწიფდა მაყვალიც. მაგრამ გარეშემო სულ მალალი ჭინჭრები ჰქონდა შემორტყმული. სოსომ დიდის სიფრთხილით დაუწყო კრეფა მაყვალსა, მაგრამ ამათ კბილებს მაინც ვერ გადაურჩა. ძალიან ემწარა ჩვენ სოსოსა, დალრეჯილი და თვალცრემლიანი გაიქცა მამისაკენ და უთხრა, მიშველე რამე, შეჩვენებულმა ჭინჭრებმა დამსუსხეს, ძალიან მეწვის.

აქამდის განა არ იცი მაგისი წამალი?—უთხრა მამამ, მიიყვანა სოსო წყლის პირას და სველი მიწა დაადო დასუსხულ ადგილებზე. ცოტა ხანს უკან სოსოს ტკივილი თითქმის სულ დაუამდა.

...ჩვენში ჭინჭრის მხალს აკეთებენ, სხვა ქვეყნებში ჭგრეხენ ჭინჭრის თოკებს, აკეთებენ ქაღალდს, ქსოვენ ჩითებსა და ტილოს.

გუგული

გუგული მტრედის ტოლაა თითქმის. ზურგი და გვერდები აქვს ნაცრისფერი, გული და მუცელი კი თეთრი, შავი ზოლებით. ფეხები ყვითელი, ოქროსფერი, რომლებზედაც აბია ოთხი კლანჭი. გუგულს ეძახიან პურა ძვირს, რადგანაც სტუმარი სძულს. ჩიტები ერთად სხდებიან, მტრედებს გროვით უყვართ ჭამა, იხვები გუნდ-გუნდ დაცურავენ წყალში, გუგულს კი მარტოობა უფრო მოსწონს. გაზაფხულზედ ყოველი ფრინველი იკეთებს ბუდეს. გუგული კი არ ზრუნავს ბუდისთვის. ტყის პატარა ფრინველები გააკეთებენ ბუდეს და დასდებენ კვერცხებს. როცა ფრინველს ბუდიდგან გამოიგუღებს, გუგული მოფრინდება, ზოგს კვერცხებს გადმოჰყრის ბუდიდგან და თავისას ჩასდებს. პატარა ფრინველები გამოჩეკენ თავის შვილებთან გუგულის ბარტყსაც. ახლა საჭმელს ზიდვას დაუწყებენ ბარტყებისათვის. მაგრამ რადგანაც პატარა გუგული იმათ შვილებზედ დიდია, სხვა ბარტყებს უსაჭმელოდ აგდებს. როცა დიდი გაიზრდება, მაშინ გუგული შეუცოდებლად გადმოჰყრის ბუდიდგან პატარა ბარტყებს. გადმოყრილი ბარტყები შიმშილით და სიცივით იხოცებიან.

ცხვარი

ცხვარი აძლევს კაცს რძესა, ყველსა, მატყლსა, მატყლიდგან აკეთებენ სხვადასხვა მაუდებსა.

ცხვარი ძალიან უგუნური პირუტყვი არის. მაგალითები: ერთმა ცხვარმა რომ შეითამაშოს, ყველა ცხვრებმა უნდა მიბაძონ. ან თუ ერკემალი, რომელიც წინ მიუძღვის ყოველთვის, ჩავარდა ხევში ან დიდ რუში, მთელი ცხვრის ფარა თან გადაჰყვება, თუ მეცხვარემ არ უშველა. ან როცა მგელს დაინახავენ, ხომ არ მოერიდებიან, თითონ მიდიან მგლისკენ, ან მოგროვდებიან და ფეხებით მიწაზედ უბრაგუნებენ,—თავის ჰკუაში მგელი იმითი უნდათ შეაშინონ.

ნამი, ანუ ცვარი, და რთვილი

ღლისით, როცა თბილა, მიწიდგან, მცენარეებიდგან ჰაერში ადის ორთქლი. თუ ღამე კარგათ ცივია ღლეზედ, მაშინ ღამის სიცივე ორთქლს შეკუმშავს, გადააქცევს წყლის ცვარებათ და ძირს ჩამოაცვივნებს; მეორე ღილაზედ ვიძახით: ნამი მოსულა.

შემოდგომაზედ, როცა ღამე ძრიელ ცივა, ნამი გაიყინება და რთვილად გადაიქცევა ხოლმე. მაშ რთვილი გაყინული ნამი ყოფილა.

მხატვარი ლალი ლომთაძე

ლედამინწა

ლედამიწა არის მრგვალი, როგორც ბურთი. ჩვენ ვერ ვამჩნევთ ამას, ამიტომ რომ ლედამიწა ძრიელ ლიდია და ამის გამობერილობა იმ ადგილზედ, სადამდისაც თვალი მიგვიწვდება, შესამჩნევი არ არის.

ლედამიწა როგორც ძრიელ ლიდი საგანი, ანუ სხეული, იზიდავს ყველაფერს. შენ რომ ზევით ქვა შეისროლო, ის უთუოდ ისევ მიწაზედ ჩამოვარდება.

ფრინველები რატომ არ ცვივიან ძირს?

ფრინველს აქვს მსუბუქი ტანი, ფრთები კი ლონიერი. მინამდისინ ფრთები ჰაერზედ აქვთ დაბჯენილი, ფრინველები არ ჩამოცვივიან ძირს, მაგრამ, ფრინველმა რომ ფრთები შეიკუმშოს და აღარ მოიქნიოს, ისიც ისე ჩამოვარდება ძირს, როგორც ქვა.

დრო

ერთხელ თვალის დახუჭვაში და მაშინვე ახელვაში რაც ხანი გაივლის, იმ დროს ჰქვიან წამი.

სამოცი წამი ერთი მინუტია. სამოცი მინუტი ერთი საათია. ოცდაოთხი საათი ერთი ღლე და ღამეა. შვიდი ღლე ერთი კვირაა.

ერთ თვესა ოცდაათი ან ოცდათერთმეტი ღლე აქვს. თორმეტი თვე ერთი წელიწადია. წელიწადსა აქვს სულ სამას სამოცდა ხუთი ღლე. ოთხ წელიწადში ერთხელ ერთი ღლე მიემატება და წელიწადს ექნება ხოლმე სამას სამოცდაექვსი ღლე. ამ ლიდ წელიწადს ნაკიანი წელიწადი ჰქვიან.

ფულის ზომა

ორი გროშა ერთი კაპეიკია. ხუთი კაპეიკი ერთი შაურია. ორი შაური ერთი უზაღთუნია, ორი უზაღთუნი—ერთი აბაზია. ხუთი აბაზი ერთი მანეთია. ათი მანეთი ერთი თუმანია.

ილია ჭავჭავაძე

150

1987 წელს სრულდება დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით მწერალმა გივი გეგეჭკორმა ჩვენი ჟურნალის დაკვეთით დაწერა წიგნი „ილია ჭავჭავაძის ცხოვრება“. ვიწყებთ ამ წიგნის ბეჭდვას.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება

ყვარელი. საგვარეულო კოშკი. დაბადება

ბავშვებო! ამ სურათზე თქვენ ხედავთ დიდი ქართველი მწერლისა და მამულიშვილის ილია ჭავჭავაძის სახლკარს მის მშობლიურ ყვარელში. ეს ფოტოსურათი გადაღებულია დაახლოებით სამოცდაათი წლის წინათ, დიდი ილიას სიკვდილიდან ხუთი წლის შემდეგ.

თქვენ ხედავთ მდინარე დურუჯის ტოტს, რომელზედაც ხიდგბად ფიცრებია გადებული, იქვე დინჯად ბატები მიბაჯბაჯებენ; ხედავთ მესერს. ეს მესერი გვიანდელია. ილიას ბავშვობაში ეზო-კარი შემოზღუდული ყოფილა რიყის ქვის გალავნით, რომელიც სამ მეტრამდე სიმაღლისა და ოთხმოც სანტიმეტრამდე სიგანისა ყოფილა. ეზო-კარს ჰქონია აგრეთვე მუხის ორი მძიმე, ურდულებიანი ჭიშკარი — აღმოსავლეთისა და სამხრეთისა. მთავარი ჭიშკარი სამხრეთისა იყო. დურუჯის ტოტზე ახლა რომ წისქვილია აღდგენილი, იმასთან სამხრეთის ჭიშკარი ყოფილა ახლოს, მარანთან კი — აღმოსავლეთისა. თაღოვანი ჭიშკრები ქართული ბრტყელი აგურით უშენებიათ, თაღი კი კრამიტით გადაუხურავთ.



ამ სურათზე მოჩანს კაკლის ხე, რომელსაც პატარა ილია ახსოვს და ახლაც შრიალებს მის ეზოში; კაკლის იქით სახლს ხედავთ, ეს სახლი ის გადაკეთებული კოშკია, რომელშიც ილია დაბადებულა. სამხრეთის ჭიშკარი კოშკთანაც ახლოს ყოფილა. ამ სურათზე რომ შუშაბანდი და კიბე მოჩანს, გვიან არის მიშენებული. კოშკისთვის მესამე სარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულიც მოუნგრევიათ და ორსართულიან სახლად უქცევიათ.

ახლა კოშკი პირვანდელი სახით არის აღდგენილი, მას ყველაფერი მოაშორეს და ის მესამე სართულიც დააშენეს, ილიას ბავშვობის დროს რომ ჰქონია ჭავჭავაძეების საგვარეულო კოშკს.

ამ ფოტოსურათზე თქვენ ფანჯარასაც ხედავთ. კოშკს ამ ფანჯრის ნაცვლად სათოფურები ჰქონია. სქელ კედლებში დატანებული სათოფურებიდან მცველები სოფელში შემოჭრილ მარბიელს თოფს ესროდნენ. შიგნიდან ირიბად მომავალი სათოფურის ორი ხვრელი ბოლოს ერთდება და მიდამოს ერთ სათოფურად გაჰყურებს. ასეთ სათოფურში მტრის ტყვია ვერ შეაღწევს, ამავე დროს, როცა ერთი დამცველი ისვრის, მეორე თოფს ტენის და ამგვარი სათოფურიდან ორი კაცი რიგრიგობით გაისვრის. ამ სათოფურებით დაუდგენიათ, რომ ჭავჭავაძეების კოშკი აშენებული ყოფილა მეთექვსმეტე საუკუნეში, რადგან ასეთ სათოფურებს საგვარეულო ციხე-სიმაგრეს თურმე მეთექვსმეტე საუკუნეში აყოლებდნენ.

ბავშვებო! რა თქმა უნდა, ყველას წაკითხული ან მოსმენილი გაქვთ პირველი ქართული „დედაენის“ შემქმნელის და ჩვენი სასიქადულო მწერლის იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“

ამ მოთხრობაში გამდელი ბავშვს ტყის პირას ასეირნებს. ბავშვი ტყეს რომ მიუახლოვდება, ხის ძირში ჩიტს დაინახავს და გაუქანება. ჩიტი ისკუპებს და ხეებში გაუჩინარდება. ბავშვი ჩიტს გაჰყვება, ტყეში შესულ ბავშვს კი გამდელი დაედევნება. უეცრად ლეკი გაჩნდება, ბავშვს მივარდება, ხელს სტაცებს, მეორე ხელს პირზე დააფარებს და გაიტაცებს, გამდელი დაყვირებას ვერ მოასწრებს, რადგან მეორე ლეკი თავში კეტს დაარტყამს და მიწაზე უსულოდ დასცემს.

ასევე მიპარვით დაატყვევა ლამისყანიდან ქსნის ხევით ირტოზის გორაზე ჩამოპარულმა მომხდურმა წყაროზე მისული ჭაბუკი დავით გურამიშვილი, ბრწყინვალე ქართველი პოეტი.

მტრის მარბიელი რაზმები ხშირად მთელ სოფელს ესხმოდნენ თავს. ქართლისა და კახეთის ყველა სოფელში იდგა სათემო გალავნიანი ციხე, რომელსაც მთელი სოფელი თავს აფარებდა. ასეთი ციხე არის ილია ჭავჭავაძის მშობლიურ ყვარელშიც. სათემო გალავნიანი ციხის გარდა შენდებოდა საგვარეულო ციხე-ბურჯებიც. ჭავჭავაძეების კოშკი საგვარეულო ციხე-ბურჯია და დიდი გალავნიანი სათემო ციხის გადმოსწვრივ დგას ყვარელში.

ბავშვებო! აქ მოთავსებულ მეორე სურათზე თქვენ ხედავთ ჭავჭავაძეების ამ საგვარეულო კოშკს. იგი ვახტანგ ჯაფარიძის ნახატია. ვახტანგ ჯაფარიძე იყო ილიას მოურავის ნოშრევან ჯაფარიძის შვილი და ეს კოშკი ისე დაუხატავს, როგორც ბავშვობაში უნახავს და როგორიც დახსომებია.

ციხე-კოშკის პირველ სართულში კოდებში სურსათს ინახავდნენ და ქვევრებში სასმელ წყალს იმარაგებდნენ. მეორე სართულზე, მომხდურის შემოსევის ჟამს, ოჯახი იხიზნებოდა — ბავშვები და ქალები. მესამე სართულიდან კი მეციხოვნენი თავს იცავდნენ და მტერს იგერიებდნენ. ციხის თავზე ატანილი ჰქონიათ ქვები; ლოდები და ლოდსატყორცნები მდგარა. მანებით დამაგრებული დასაგორებელი მორის უკან ქვებს აგროვებდნენ, მერე წკნელებს ჩაჭრიდნენ, მორი სიგანეზე გორდებოდა, ქვები იშლებოდა და მთელ სიგანეზე ცვიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გამაგრებულ სახლ-სა და ციხეს ურდულიანი მუხის კარი ჰქონდა და სახურავიდანაც იგმანე-ბოდა.

ილია ჭავჭავაძე მომხ-დურის სწორედ ასეთი თა-ვდასხმის დროს დაბადე-ბულა. ყვარელს მარბიე-ლი დასხმია, გათენებამდე მტერს ებრძოდნენ მეცი-ხოვნენი. გათენებისას პა-წაწინა ილიას თოფების გრიალსა და ხმლების ჩა-ხა-ჩუხში გაუხელია თვა-ლი და ქვეყნისათვის თა-ვისი დაბადება ტირილით უმცნია.

ძველი სტილით 1837 წლის 27 ოქტომბერი თენ-დებოდა.

ჩვენ შეგვიძლია წარმო-ვიდგინოთ წელიწადის ეს დრო და გვიანი შემოდგო-მის ყვარელი, რადგან იგი მშვენივრად აქვს აღწერი-ლი ილია ჭავჭავაძეს მოთ-ხრობაში „ოთარაანთ ქვრი-ვი“.

„შუა ხანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვე-ყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაობით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუა დღის გულზედ მზე პირ-დაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქ-ლად ცას აჰქონდა და ბამ-ბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალ-გადაუწვდენელს სიგრძე-სიგანეზედ, სიღრმე-სიმაღ-ლეზედ...“

ილია ჭავჭავაძე

გაზაფხული

ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ცით სიხარული.

ამწვანდა მთები,
ტყე და მინდვრები,
ათასფრად ჭყვავის
ბაღი და ზვრები.

მხატვარი გიორგი როინიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ქმოგილები

ევავილებს სუნთქვა უჭირთ,
სიოც არ იძვრის ნელა,
ჰაჰანაქება, ანუ
აგვისტოს დღეა, ცხელა!
აუზში ბანაობენ
ორნი—ზაზა და გელა...
გაჭირდეს—უნდა შემლოს
ერთმა მეორის შველა,
მმობილებია, ახსოვთ
„რწეილი და ჭიანჭველა“.

ლალი და ჭუკი

ლალიმ ჭუკი აიყვანა:
— ჩემო ინდაურის ჭუკო,
მითხარ, რითი გაგახარო,
რას ისურვებ,
რა გაჩუქო?
ჭუკმა უთხრა:—საჩუქრებზე
ნუ წუხდები, ჩემო ლალი,
თუკი ასე გებრალები,
გამიკეთე ჭინჭრის ფხალი.

საყვედური

ნატო კატას გაუჯავრდა:
— შე მსუნაგო ფისასო,
წუხელ ეველი მოგიპარავს,
ხომ არა ხარ მტრისასო.
ფისომ უთხრა:—უჩემოდ რომ
ახრამუნე ქადაო,
როგორ ფიქრობ, ქალბატონო,
მე არა მაქვს მადაო?..

მხატვარი ბესო ხიდაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოსო, გვანცა 1-ლი სექტემბერი

თავგადასავალი II

ავტორი - გია ლეფაური.

ესეც ასე!
9

ეი, ზარი დაირეკა!
ხი, ხი, ხი, ვნახოთ უჩანთებოდ როგორ იცლიან სადღაურ!
10

ზარია, გვიანია! წამოდი ჩქარა!
11

ვაი, ბოსტ. ჩანთას ვერ ვპოულობ.
არა ჩემი ჩანს.

თქვენ ჩატიმ არ შემოდიხართ კლასში?!
13

ჩანთები დავკარგეთ!
14

მივეხმარეთ, ბავშვებო, მოვაძებნინოთ.

ვაიმე, ტირიან
სულ შენ ბრალია!
16

ბოსტ, გვეკაბიმ!
აბა, მაგ ეს თქვენი ოინებია?

ვაშაა! ვიპოვეთ!
18

19

რევაზ ინანიშვილი

გურამ რჩეულიშვილი

გურამ რჩეულიშვილი მწერალი იყო. ის მთლად ახალგაზრდა დაიღუპა, ოცდაექვსი წლისა. მაგრამ იმდენი და ისეთი კარგი მოთხრობების და პიესების დაწერა მოასწრო, დღეს დიდი მწერალი ჰქვია. თუ მისი წიგნი ჩაგივარდათ ხელში, უთუოდ წაიკითხეთ „უსახელო უფლისციხელი", „ალავერდობა", „ბათარეკა ჭინჭარაული", „ნათელა" და სხვა მოთხრობები. თქვენ თვითონ მიხვდებით, რა საინტერესოა, რაც კი მას დაუწერია.

გურამის მამა, მიხეილი, სოფლის მეურნეობის დიდად განსწავლული სპეციალისტი, ომის დროს თუშებთან, ქვემო ალვანში მუშაობდა, ოჯახიც იქ ჰყავდა, და გურამი სოფლის სკოლაში დადიოდა, მესამე კლასში. შემდეგში დიდი სიყვარულით იგონებდა ხოლმე გურამი იმ წელს.

გურამს ძალიან უყვარდა ამხანაგები. ამხანაგებსაც ძალიან უყვარდათ გურამი—ლამაზი, თმახუჭუჭა ყოჩაღი ბიჭი, რომელიც არაფერში უკან არ რჩებოდა არავის, არც სწავლაში, არც ჭიდაობაში და არც ცელქობაში. თან არც იმას ცდილობდა, ძალიან გამორჩეულიყო მათგან. ნამდვილი ქალაქური სასკოლო ჩანთა ჰქონდა, ბრჭყვიალა საკეტიანი, მაგრამ სოფელში ხელი არ მოუკიდია მისთვის, დედას სთხოვა, ნაჭრის ჩანთა შეეკერა, ისეთი ნაჭრის ჩანთა, როგორებიც სხვა ბიჭებს ჰქონდათ; დედამ შეუკერა, ჩააწყო გურამმა წიგნები შიგ, გადაიკიდა მხარიღლივ და ხელებთავისუფალი გაიქცა სკოლისაკენ. თავისუფალი ხელები კი რასაც ნიშნავს ბიჭისათვის, თქვენ თვითონ მოგეხსენებათ,—ძაღლი გამოგეკიდება, მარჯვედ დაუშენ ქვებს, ვინმე წამოგეტორლიალება, იმასაც ეცემი მხარში და საქამრეში, ხოლო თუ თოვლია, მაშინ ხომ მთლად უკეთესი! გააკეთე გუნდები და ხან აქეთ დაუშინე მტრებს, ხან იქით.

ჩაცმითაც ისე იცმევდა გურამი, როგორც ამხანაგებს ეცვათ. დაძველებული შარვალი და ასეთივე ხალათი. მაგრამ ქალამნები არ ჰქონდა, შეეხვეწა მამას. მამამ გაიღიმა, მეორე დღესვე მოიყვანა ერთი მოხუცი თუში. იმ თუშმა გურამის პატარა ფეხს მოაზომა ხარის ტყავი, იქვე დაჯდა, ხელდახელ ამოუსხა ლამაზი, ჭვინტამოკაუჭებული ქალამნები და ჩააცვა. გურამი ცას სწვდებოდა სიხარულით. ქალამანს ხომ ბიჭისთვის ფეხსაცმელი არა სჯობს! სულ ვერა გრძნობ, ფეხზე თუ რამე გაცვია, არც გაგეხდება, გინდა გავარდ-გამოვარდი და გინდა ყირაზე დადექი.

ერთხელ კი გურამს ახალი შარვალი უყიდეს. ძალიან კარგი შარვალი იყო, მაუდისა, მაგრამ გურამმა არ ჩაიცვა.—არაო, არ ჩავიცმევო. არც ამბობდა, რატომ. იკოხებოდა და შარვლის დანახვაც არ უნდოდა. არადა ძველი ძალიან შელახული იყო. ბოლოს, როგორც იქნა, დედას გაუტყდა,—ჩემს ამხანაგებს ყველას უკან საკერებელდადებული შარვლები აცვიათ, მეც საკერებელი დამიდეთ და მაშინ ჩავიცმევო. დედა მიუხვდა გურამს. ადგა, ხელუხლებელ უკანუბეზე დაუ-

დო საკერებლები, — მაინც დაენანა ახალი შარვლის ამოჭრა. გურამმა რომ ნახა, ისევ იუარა, მაინც არ ჩავიცმევო. ამოჭერი და ისე დააკერე საკერებლებიო. დედა იძულებული გახდა, ამოეჭრა ახალი შარვალი და ისე დაედო საკერებლები, თანაც ოდნავ სხვა ფერის საკერებლები. მაშინ კი ჩაიცვა გურამმა, გამოვიდა გარეთ, მოფარებულში მიდგა, მიჭმუჭნ-მოჭმუჭნა, მიწიანი ხელიც აუსვ-დაუსვა, „დააძველა“ და ისე გაიქცა ამხანაგებთან. ამხანაგებს არც კი შეუმჩნევიათ, ახალი შარვალი რომ ეცვა. გურამი ბედნიერი იყო.

დიდობისასაც ასეთი იყო გურამი — მეგობრებისთვის თავდადებული. დაღუპვითაც ამის გამო დაიღუპა, აღელვებულ ზღვაში შეეიდა სხვების დასახმარებლად, ვეება ტალღამ ბეტონის სამსხვრევზე დასცა, გონი დაკარგა და დაიხრჩო. მაგრამ ჩვენ ასე ვამბობთ, — ის მაინც ცოცხალია, ცოცხალია, რადგან ცოცხლობენ ის ფიქრები და აზრები, რომლებიც მას ჰქონდა. ის ფიქრები და აზრები კი ძალიან ძვირფასია ქვეყნად ნამდვილი კაცური არსებობისათვის. ამიტომ ადამიანები არასოდეს დაივიწყებენ მათ.

ქუჩაში რომ უბრალოდ ჩაცმულ, მამაცად თავაწეულ გონიერ ბიჭებს დავინახავ ხოლმე, მე მათშიც გურამ რჩეულიშვილის კეთილად მბორგავი სულის ნაწილაკებს ვხედავ. თითქოს მათთან ერთად გურამიც მოაბიჯებს — სახენათელი, ნაბიჯღონიერი...

გივი ჟიჟინაძე

სიხარული

მღერის,
მღერის
სექტემბერი.
რა ახარებს ნეტავ?
გზას ულოცავს სკოლისაკენ
ლევანსა და ნესტანს.
ნიავქარიც
თავს დაჰხარის
მიმოხატულ მდელოს:
— ამ დიდ გზაზე
სულ, სულ ასე
ფრთაშესხმული გევლოთ!
ჰაწაწინა წიფობელებს
რაღა მოასვენებთ.
— ბავშვებს გვერდით
მოჰყვებიან,
წკრიალ-წკრიალ სტვენენ:
— თქვენ ისწავლეთ,
ჩვენ კი მალე
დაგიშაქრავთ მტევნებს!

მხატვარი **გელო ხიდაშელი**

ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თხიპნი-თხუპნი

ჯემალ ქირია

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

თხიპნი-თხუპნები სამელნეებში ცხოვრობენ. ერთი ასეთი თხიპნი-თხუპნი მამიკოს სამელნეშიც იყო მოკალათებული. პატარა თათიამ ეს არ იცოდა... აჰ, თქვენ არ იცნობთ? პატარა თათია მამიკოს გოგოა და დედიკოს გოგოა. ამასთან ბებიკოს შვილიშვილიცაა. ისე პატარაა, ნულ კლასში გაისად უნდა წავიდეს. „გაისი“ როდის მოვა, არ იცის, მაგრამ თოჯინებთან თამაში რომ მობეზრდება, აიღებს ნახატებიან წიგნს და ათვალიერებს, ანდა ფერადი ფანქრით ფურცელზე სხვადასხვა კაცუნებსა და სახლებს ხატავს. ერთხელ მამა და დედა შინ არ იყვნენ, ბებია კი ტელევიზორთან იჯდა და თბილ წინდას ქსოვდა. თათია მამიკოს კაბინეტში შეიპარა, მამიკოს საწერ მაგიდას მიუჯდა, მამიკოს კალამი მამიკოს სამელნეში ჩააწო და ლამაზად დაწყობილი ფურცლებიდან სულ ზედა ფურცელზე დაიწყო წერა. ჯერ მარტო ორი ასოს დაწერა ეხერხებოდა — „ა“-სი და „ი“ -სი. ჰო-ჰო, რა მონდომებით წერდა! ენა გამოეყო და ხვნეშოდა. „ა“-ს რომ თავი კოხტად მოუგრიხა, „ი“-ს წერას შეუდგა. „ი“ უფრო იოლია. ბურთივით მრგვალია, ოღონდ ფეხები არ უნდა მიუტყუპო. ის იყო ცოტაღა დარჩა, კალამზე მელანი გამოილია და სამელნეში ერთხელ კიდევ ჩააწო. თურმე კალმის წვერს თხიპნი-თხუპნი ჩამოეკიდა და პირდაპირ „ა“-ზე და „ი“-ზე მოადინა ტყაპანი. გაიშალა, გაითხაპნა, ბუსუსებიან მსუქან გოჭს დაემსგავსა, „ა“-ც გადასანსლა და „ი“-ც, თან ისე მადიანად დაამთქნარა, ვითომ ეს ფურცელი მისი საკუთარი ყოფილიყოს.

— შენ ვინა ხარ? — გაოცებისაგან პირი დააღო თათიამ.

— ვინ ვარ და თხიპნი-თხუპნი! ეს სამელნე ჩემი სახლია! გემრიელად მეძინა, შენ კი გამაღვიძე! როგორ გაბედე ჩემი შეწუხება?

— მე არ გიცნობ! — ენა დაება თათიას.

— მეც არ გიცნობ და არც მაქვს სურვილი გაგიცნო! — ამაყად განაცხადა თხიპნი-თხუპნიმ.

— მე თათია ვარ! — ზრდილობიანად აუხსნა გოგონამ. — სულაც არ მინდოდა შენი შეწუხება. ჩაბრძანდი უკანვე სამელნეში, თორემ მამიკო მოგვისწრებს და გაგვიწყრება!

— როგორ თუ ჩავბრძანდე! ქეჩოში მწვდი, ფურცელზე ძალით გადმომსვი, ახლა კი ჩემთან თამაშსაც არ კადრულობ? — გაჯავრდა თხიპნი-თხუპნი. — ჩემისთანა ლამაზი და მხიარული თხიპნი-თხუპნი მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მოიძებნება. გოგონები და ბიჭუნები სიხარულით მეთამაშებიან!

— მე არ მინდა ასეთი თამაში! — მოთმინებით თქვა თათიამ. — მამიკოს ფურცელი მთლად გამიფუჭე!

— ჰა, ჰა, რასა ბრძანებთ! — არ გინდა და ნუ გინდა, შენს ჯინაზე არსადაც არ წავალ! — და თხიპნი-თხუპნი უფრო მეტად გაიდღაბნა, ზედა ფურცელი კი არა, იმის ქვემოთ რომ ფურცელია, იმასაც მისწვდა.

— ავიღებ და საშლელით წაგშლი! — დაემუქრა თათია.

— ჰა, ჰა, გული არ გამიხეთქო! — დაიჯღანა თხიპნი-თხუპნი.

თათიამ საშლელს დაავლო ხელი, მოუმარჯვა, მაგრამ თხიპნი-თხუპნი, სკუპ, და ქაღალდიდან მაგიდაზე გადახტა, ტყაპატყუპით გაუყვა მაგიდის კიდეს, თან ხითხითებდა თათიას გულის გასახეთქად და ყველგან კვალს ტოვებდა.

— ახლა სველ ტილოს მოვარბენინებ! — წამოხტა თათია.

თხიპნი-თხუპნი კი, ის უსინდისო, პირდაპირ კაბის კალთაზე მიახტა. მერე როგორი კაბა ეცვა თათიას, თეთრი, ქათქათელა, ზედ ვარდისფერი პეპლები ეხატა, და თხიპნი-თხუპნიმ ორი პეპელა წამში შესანსლა.

— აბაზანაში შევალ და ცხელი წყლით ჩამოგრეცხავ! — ცრემლი მოერია თათიას, მაგრამ მთლად არ ატირებულა, თავი შეიკავა.

— ვერ დამიჭერ, ვერ დამიჭერ! — ენა გამოუყო საძაგელმა თხიპნი-თხუპნიმ და იატაკზე დაეტყეპა.

თათიამ ჩვარს დაავლო ხელი. უკან გამოუდგა. ის კი ხან იქით გადახტა, ხან აქეთ გადმოხტა; თან ხითხითებდა და ხითხითებდა. უცბად გოგონას ფეხი დაუცდა და დაეცა, თხიპნი-თხუპნი ქვეშ მოიყოლია. — ვაიმე, მატკინე! — იკივლა თხიპნი-თხუპნიმ.

თათიასაც კი ეტკინა, მაგრამ შეეცოდა თხიპნი-თხუპნი და ხელი გადაუსვა. ის აბეზარი და მატყუარა კი ახლა ხელზე მიეტყეპა და კვლავ ხითხითი მორთო.

მაშინ კი ასლუკუნდა პატარა თათია, ცრემლები გადმოსცვივდა. მაგრამ მჯიღი თვალებში რომ მოისვა, თხიპნი-თხუპნი ლოყებზე, ნიკაპზე და ცხვირზე გადაედღაბნა.

ამ დროს გოგონა სარკესთან იდგა. ჩაიხედა და რას ხედავს! ზღაპრების წიგნში რომ ყველა ალქაჯზე უფრო ალქაჯია, ისეა მოთხუპნული.

— ბებია! — მორთო ღრიალი.

გულგახეთქილ ბებიას საქსოვი გაუვარდა და გამოიქცა.

თხიპნი-თხუპნებს ბებიებისა ეშინიათ — ისინი წამსვე ცხელ წყალსა და საპონს მოუმარჯვებენ. თხიპნი-თხუპნის კი ცხელი წყალი და საპონი არ უყვარს. ამიტომ ის თათიას ცრემლებს ჩამოჰყვა, იატაკზე გაგორდა, იქიდან მაგიდაზე გადახტა და სამელნეში ჩაძვრა.

— რა იყო, გენაცვალე? რამ შეგაშინა, ჩემო ოქრო? — მოეფერა თათიას ბებია.

— თხიპნი-თხუპნი მაჯავრებს! — შესჩივლა თათიამ.

— რომელი თხიპნი-თხუპნი? — ვერ მიხვდა ბებია და მიიხედ-მოიხედა.

თათიამაც მიმოიხედა, თხიპნი-თხუპნი არსად ჩანდა.

იმ დღიდან თათია კალამსა და მელანს ფრთხილად ხმარობს, ცდილობს სამელნიდან თხიპნი-თხუპნი არ ამოიყვანოს...



მაგიური კვადრატი

1. ვირი, 2. უდედმამო, 3. ბატკანი, 4. ბოჩოლა, 5. სათნო, 6. ლამაზი, 7. გონიერი, 8. ფრიადი, 9. მანდილოსანი.

თითოეულ სიტყვას მოუძებნეთ სინონიმი. დათვალეთ მასში ასოების რაოდენობა და ჩაწერეთ კვადრატის შესაბამის უჯრაში. თუ სინონიმებს სწორად ამოიცნობთ, მიიღებთ მაგიურ კვადრატს.

უშანგ სახლთხუციშვილი

ამოცანა

დედამ თავის სამ შვილს მაგიდაზე ქღიავით სავსე თეფში და წერილი დაუტოვა: „შვილებო, სკოლიდან რომ მოხვალთ, ქღიავი თანაბრად გაიყავით და მიირთვითო“.

მოვიდა გია. წაიკითხა დედის წერილი, დათვალა ქღიავები, მესამედი შეჭამა და ეზოში გაიქცა. ცოტა ხნის შემდეგ ზაზა მოვიდა. მან არ იცოდა, რომ გიამ თავისი წილი ქღიავი უკვე შეჭამა, ამიტომ დარჩენილის მესამედი აიღო, ჯიბეში ჩაიყარა და თავის მეგობარ გიგასთან წავიდა. ბოლოს ქეთინო მოვიდა. მანაც არ იცოდა, რომ მისმა ძმებმა თავიანთი წილი ქღიავი აიღეს, გაყო დარჩენილი ნაწილი სამად, რაც დარჩა—რვა ქღიავი—ძმებს დაუტოვა, თავისი წილი კი აიღო და ისევ სკოლისაკენ გაემართა მათემატიკური წრის სხდომაზე დასასწრებად.

რამდენი ქღიავი დაუტოვა დედამ შვილებს?

მხატვარი **გესო ხიდაშელი**

რა საგნები მოიპარა ქურდმა?



წრუწუნამ ძეხვამდე რომ მიაღწიოს, ისე უნდა გაიაროს ლაბირინთი, რომ ციფრების ჯამმა 50 ქულა შეადგინოს.

ნახატები ნანა იოსელიანისა

დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, გერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაუვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჟიჟინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 27. 05. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 08. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა 1461.

უდაზე ნახატი სოფიო კინწურაშვილისა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1461.

ინდექსი 76055

6/25/135

მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

სასექტემბრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი სიტყვები

სასექტემბრო

ზარმაცის სიზმარი

გადასასვლელზე

გზის გასაყარზე

სკოლისაკენ, ჰერი, ჰერი!..

სკოლისაკენ მიფრინავენ

პირველი გაკვეთილის გადმოცემა სკოლიდან.